



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 10/ს  
12/01/2023

10-21-4-202301121410



### ქ. ქუთაისში ფ/პ ეკატერინე აბესაძის ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

ფ/პ ეკატერინე აბესაძის მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. ქუთაისში, ავტომშენებლის ქ. №52ბ-ში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, 2021 წლის 29 ნოემბერს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ფ/პ ეკატერინე აბესაძის მიმართ „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79<sup>7</sup> -ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №065902 ოქმი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ფ/პ ეკატერინე აბესაძის კუთვნილი ავტოგასამართი სადგური მოწყობილია 2021 წლის ნოემბრის თვიდან ქ. ქუთაისში, ავტომშენებლის ქ. №52ბ-ში 1089 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 03.01.21.597). აღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ფ/პ ეკატერინე აბესაძის საკუთრებას. ავტოგასამართი სადგურის განთავსების GPS კოორდინატებია: X – 302800; Y – 4681200. მანძილი უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე შეადგენს 260 მ-ს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის შემადგენელი ინფრასტრუქტურული ელემენტებია: ოფისი-საოპერატორო, სარეზერვუარო პარკი, ორი ერთეული საწვავის მარიგბელი სვეტი, ავტოცისტერნის დაცლის პლატფორმა, დაღვრილი საწვავის შემკრები ღარები და სალექარი და ფასის მაჩვენებელი ტაბლო. ავტოგასამართ სადგურზე ასევე განთავსებულია ორი ერთეული მიწისქვეშა რეზერვუარი, რომელთაგან ერთი (მოცულობა 14 მ<sup>3</sup>) განკუთვნილია დიზელის საწვავისთვის, ხოლო მეორე – (მოცულობა 16 მ<sup>3</sup>) განკუთვნილია ბენზინის საწვავისთვის. რეზერვუარები განთავსებულია მიწისქვეშა სარკოფაგებში, სიცარიელები შევსებულია ქვიშა-ლორღის ფრაქციით. რეზერვუარები დაფარულია ანტიკოროზიული ნივთიერებით და აღჭურვილია სასუნთქი სარქველებით (სიმაღლე - 2 მ, დიამეტრი - 0.05 მ). ავტოგასამართი

სადგურის რეზერვუარებში საწვავის მიღება განხორციელდება ავტოცისტერნების საშუალებით, რომელიც დაურთდება ტერიტორიაზე განთავსებულ ჩამსხმელ დგარებს. მიწისქვეშა მილსადენების საშუალებით რეზერვუარები მიერთებული იქნება ორ საწვავ-მარიგებელი სვეტთან. რომელიც განთავსდება რკინის კონსტრუქციის გადახურულ ნაგებობის ქვეშ.

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, ობიექტზე წლის განმავლობაში დაგეგმილია ჯამურად 4 000 000 ლიტრი საწვავის რეალიზაცია (2 000 000 ლიტრი ბენზინი და 2 000 000 ლიტრი დიზელი). ავტოგასამართი სადგური იმუშავებს წელიწადში 365 დღე, დღე-ღამეში 24 საათი. ობიექტზე დასაქმებული იქნება 7 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას წყლის მოხმარება მოხდება მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის, რისთვისაც წყალსარგებლობა მოხდება ქალაქის წყალმომარაგების სისტემიდან. ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩაშვებული იქნება ტერიტორიაზე მოწყობილ, ბეტონის კედლიან (წყალგაუმტარ) საკანალიზაციო ჭაში, რომლის დაცლა მოხდება საჭიროებისამებრ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ვინაიდან ავტოგასამართი სადგური და მარიგებელი სვეტები განთავსებული იქნება გადახურული ნაგებობის ქვეშ, შესაბამისად, სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი ნავთობპროდუქტებით არ არსებობს. ობიექტის პერიმეტრზე (გადახურვის გარეთ დარჩენილი) მოხვედრილი ნალექების შედეგად წარმოშობილი წყლები ჩაედინება საავტომობილო გზისა და დაგეგმილი ავტოგასამართი სადგურის საზღვარზე მდებარე ქალაქის სანიაღვრე არხში. ავტოგასამართი სადგურის გასაცემი სვეტის მოედნის გარე პერიმეტრზე მოწყობილია არხები, რომელიც მიერთებულია მიწისქვეშა, ბეტონის სალექარ ავზთან (მოცულობა 0,5 მ<sup>3</sup>), სადაც საწვავის დაღვრის შემთხვევაში მოხდება მისი ჩადინება. რეზერვუარი აღჭურვილი იქნება ტივტივით და ნავთობპროდუქტების მიმღები ორმოთი. სალექარში წარმოქმნილი ნარჩენების გატანა მოხდება შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება მოხდება სეპარირებულად. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მოხდება ქალაქის მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის მიერ. ხოლო, სახიფათო ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. ობიექტის მიერ, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება ავტოცისტერნებიდან რეზერვუარებში ნავთობპროდუქტების მიღებისას და საწვავის გაცემისას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას, წლის განმავლობაში, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობები მინიმალურია და არ გადააჭარბებს დასაშვებ ნორმებს. აღსანიშნავია, რომ ნავთობპროდუქტების შესანახი რეზერვუარები განთავსებულია მიწის ქვეშ, რაც ამცირებს მათზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება, ტემპერატურა და ა.შ) უარყოფითი ზემოქმედების რისკს, ასევე, ზღუდავს გაფრქვევათა შორ მანძილებზე გავრცელების საფრთხეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაფრქვევები

ლოკალიზებულია ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და იშვიათად სცილდება ობიექტის განთავსების ტერიტორიის საზღვრებს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ავტოგასამართ სადგურზე მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარების განთავსება გათვალისწინებული არ არის, შესაბამისად ობიექტის ფუნქციონირებისას ადგილი არ ექნება ხმაურით გამოწვეულ ზემოქმედებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ტერიტორია, სადაც ავტოგასამართი სადგურია მოწყობილი, წარმოადგენს მოსწორებულ, მცენარეული საფარისგან თავისუფალ მიწის ნაკვეთს. ასევე, არ ფიქსირდება ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლები.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე განთავსდება მებაშირი. ამასთან, ავტოგასამართ სადგურზე დამონტაჟებული იქნება სახანძრო სტენდი, განთავსდება ცეცხლმაქრები და სახანძრო უსაფრთხოების საშუალებები.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის სიახლოვეს არ ფიქსირდება ანალოგიური პროფილის მქონე ობიექტი, შესაბამისად, კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბის, სპეციფიკისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

#### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ქუთაისში ფ/პ ეკატერინე აბესაძის ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ფ/პ ეკატერინე აბესაძე ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ფ/პ ეკატერინე აბესაძეს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ფ/პ ეკატერინე აბესაძეს მიერ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქუთაისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო